საქართველოს მთავრობის

დადგენილება №369

2018 წლის 11 ივლისი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ, 2010 წელი, მუხლი 538) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ მე-5 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5	გადასახადის გადამხდელის ინიციატივით საგადასახადო შემოწმების ჩატარება		ორგანიზაციებისათვის – 5000 ლარი; სხვა პირებისათვის: 12 თვემდე (მე-12 თვის ჩათვლით) პერიოდის შემოწმებისათვის – 10 000 ლარი; 12 თვეზე მეტი და 24 თვემდე (24-ე თვის ჩათვლით) პერიოდის შემოწმებისათვის – 20 000 ლარი; 24 თვეზე მეტი პერიოდის შემოწმებისათვის – 30 000 ლარი. **შენიშვნა:** ამ გრაფის მიზნებისათვის ორგანიზაციად მიიჩნევა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 30-ე მუხლით გათვალისწინებული წარმონაქმნები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**